



პრეს რელიზი



წიგნების გამოცემა და წიგნებით ვაჭრობა საქართველოში 2012-2013

საჯარო დისკუსია

წიგნის გამომცემელთა და დისტრიბუტორთა კვლევის შედეგები

ზოგადი ინფორმაცია ეკონომიკის, განათლების, წიგნების გამოცემის, ლიცენზირების,

საბიბლიოთეკო სისტემისა და სახელმწიფო პროგრამების შესახებ.

პროექტი „წიგნის პლატფორმა“ და „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“ გეპატიჟებათ კვლევის „წიგნების გამოცემა და წიგნებით ვაჭრობა საქართველოში“ საჯარო პრეზენტაციასა და დისკუსიაზე. ღონისძიება გაიმართება

24 იანვარს, 17:00 საათზე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის

„ლიბერთის ელექტრონულ დარბაზში“

გუდიაშვილის ქუჩა 7

დამატებითი ინფორმაცია

პროექტ „წიგნის პლატფორმის“ ფარგლებში ჩატარებული კვლევის თემაა: წიგნების გამოცემა და წიგნებით ვაჭრობა საქართველოში. ეს ანგარიში ეყრდნობა 34 გამომცემლობის, 3 სადისტრიბუციო კომპანიისა და 12 მაღაზიის კვლევას. ეს იყო პირველი მცდელობა, მომხდარიყო საგამომცემლო ინდუსტრიის ბაზრის ანალიზი პირდაპირ და სტატისტიკურ მონაცემებზე, მრავალ სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ღონისძიებების განრიგი:

- მისასალმებელი სიტყვა: სალომე მაღლაკელიძე
- კვლევის შედეგების გაცნობა: თამარ ჯანაშია - ექსპერტი
- კვლევის მიმოხილვა: გიორგი საბანაძე - ექსპერტი

კვლევის ელექტრონული ვერსია ქართულ და ინგლისურ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ [აქ](#).

წიგნის პლატფორმა წარმოადგენს ორგანიზაცია „ნექსტ ვეიჯის“ პროექტს, რომელიც თანამშრომლობს შემდეგ ორგანიზაციებთან: საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია (საქართველო), სომხეთის ლიტერატურული ფონდი (სომხეთი), გამომცემელთა ეროვნული ასოციაცია (სომხეთი), გამომცემელთა ფორუმი (უკრაინა). პროექტის მხარდამჭერია ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის კულტურული პროგრამა. პროექტის იდეა აღმოსავლეთის პარტნიორობის კულტურული პროგრამის ზოგად მიზანს შეესატყვისება. შესაბამისად, პროექტი ხელს უწყობს რეგიონის მდგრად განვითარებაში კულტურის როლის ზრდას, აგრეთვე თანამშრომლობის გარღმავებას აღმოსავლეთის პარტნიორობის რეგიონებსა და ევროკავშირს შორის. პროექტის არსებობის ორნახევარი წლის მანძილზე სომხეთში, საქართველოსა და უკრაინაში წიგნის სექტორი დახმარების ხელს მიიღებს იმ გამოწვევების დაძლევაში, რომლის წინაშეც დგას მწერლობა, საგამომცემლო და მთარგმნელობითი საქმიანობა.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

სალომე მაღლაკელიძე

პროექტის ადგილობრივი მენეჯერი

წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია

ტელ: +995 570 101 601, +995 599 217 970, 032 2 342390

ან:

EU დელეგაცია საქართველოში

თამრიკო მიქაძე

ელ – ფოსტა: tamriko.mikadze@ec.europa.eu



ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში .
ნინო ჩხეიძის ქუჩა # 38; 0102 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 294 37 63 Fax: (+95 32) 294 37 68

The European Commission is the EU's executive body.

“The European Union is made up of 28 Member States who have decided to gradually link together their know-how, resources and destinies. Together, during a period of enlargement of 50 years, they have built a zone of stability, democracy and sustainable development whilst maintaining cultural diversity, tolerance and individual freedoms. The European Union is committed to sharing its achievements and its values with countries and peoples beyond its borders”.